საქმე № 010910024900167346

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-02-24 **11 აპრილი, 2024 წელი**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - გოჩა აბუსერიძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები - რევაზ ნადარაია, თეა ძიმისტარაშვილი

სხდომის მდივანი - მ--- ჯ--------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ლ-— ჯ----------
წარმომადგენელი - მ------ ჭ------

პროცესუალური მოწინააღმდეგე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ----- ხ----------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 08 თებერვლის №056/22 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. 2022 წლის 12 ივლისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ფ-------- შ---------მ ადვოკატ ლ-— ჯ----------ს წინააღმდეგ.

1.1. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის ივნისის დასაწყისში, მას სოციალური ქსელის - „Facebook“-ის მესენჯერით დაუკავშირდა ლ-----– ზ------- და აცნობა, რომ მათ შორის არსებული სამართლებრივი საკითხის მოსაგვარებლად აიყვანა ადვოკატი - ლ-— ჯ---------- და სთხოვა, რომ

ადვოკატთან კომუნიკაცია ეწარმოებინა სოციალური ქსელის მეშვეობით, რაზედაც ფ-------- შ---------მ განაცხადა უარი, რამეთუ, მისი პოზიციით, სოციალური ქსელი არ წარმოადგენდა ოფიციალურ საკომუნიკაციო სივრცეს. ფ-------- შ---------მ ლ-----– ზ-------ს გადასცა თავისი ელექტრონული ფოსტის მონაცემები და აცნობა, რომ ადვოკატს შეეძლო დაკავშირებოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

1.2. 2022 წლის 29 ივნისს, ფ-------- შ---------ს მისმა პროცესუალურმა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა - ლ-–- ჯ----------–---–მა გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომელიც ფ-------- შ--------ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას შეეხებოდა. ადვოკატმა ფ-------- შ---------სთან კომუნიკაცია განახორციელა როგორც სოციალური ქსელის - „Facebook“-ის მესენჯერით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ მისთვის მიწერილი ტექსტები შინაარსობრივად და გრამატიკულად გაუმართავი იყო, რის გამოც რამდენჯერმე სთხოვა ადვოკატს, რომ ტექსტი ნათლად ჩამოეყალიბებინა გამართული ქართულით და შემდგომ გაეგრძელებინა კონტაქტი. იმავდროულად, საჩივრის ავტორმა ადვოკატს მიუთითა, რომ კომუნიკაცია განეხორციელებინა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მაგრამ არა რუსული სერვერიდან (mail.ru), რადგან რუსული სერვერები კონტროლდებოდა რუსეთის მიერ, ინფორმაცია არ იყო დაცული, რუსეთის მხრიდან ხდებოდა ამ ინფორმაციის გაფილტვრა, წაკითხვა და შემდგომ, ამ ინფორმაციით მანიპულირება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ მოთხოვნამ ადვოკატი გააღიზიანა, რის შემდგომაც მომჩივანს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შანტაჟის შემცველ შეტყობინებებს უგზავნიდა. აღნიშნულის საფუძველზე, საჩივრის ავტორმა ლ-–- ჯ----------–---–თან კომუნიკაცია შეწყვიტა, რადგან ჩათვალა, რომ იგი არ იქნებოდა ადვოკატის სტატუსის მატარებელი.

1.4. საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატმა ლ-–- ჯ----------–---–მა საერთოდ არ იცოდა იმ საქმის შინაარსი და რეალური ფაქტები, რომლის თაობაზედაც მას უკავშირდებოდა. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი არის არაკომპეტენტური, მან არ იცოდა საქმის არსი და არ ფლობდა ინფორმაციას, რომ ეს ბინა, მის კლიენტსაც არ ეკუთვნოდა. საჩივრის ავტორის მითითებით, ეს ბინა მისი კლიენტის - ლ-----– ზ-------ს ქმრის სახელზე იყო რეგისტრირებული და ბანკში იყო ჩადებული. ადვოკატი არც იმ ინფორმაციას ფლობდა, რომ უძრავი ქონება რეალურად არა ი---- შ--------ს, არამედ მის სახელზე იყო რეგისტრირებული.

1.5. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მისი დისკრედიტაციისა და სახელის გატეხვის მიზნით, სოციალურ ქსელში მის შესახებ გამოაქვეყნა მცდარი ინფორმაცია. კერძოდ, ადვოკატმა საკუთარ „Facebook“ გვერდზე განათავსა შემდეგი შინაარსის პოსტები:

- *„ცნობილი დოქტორი ამერიკაში მცხოვრები მილიონერმა საკუთარ ნათესავის ბინა ჯერ გადაიფორმა ხელშეკრულების გარეშე შემდეგ კი ფულს სძალავდა ატყუებდა საკუთარ ნათესავებს, შემდეგ მე ადვოკატს ანუ მე მოლაპარაკება რომ ვცადე შანტაჟი გამიკეთა და დამემუქრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს რომლებიც მისი დეიდაშვილები არიან ქუჩაში ყრის. მითხარით რა არის ეს?“ (05 ივნისის პოსტის ციტირება);*

- *„ფ-------- შ---------ვ არაერთხელ მოგწერეთ თქვენი და თქვენი მეუღლის ი---- შ--------ს მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თქვენი მეუღლის ნათესავია რომლის ქონებაც გადაიფორმეთ და თანხას სძალავდით წლობით. ან კავშირზე გამოდით დროულად ან იძულებული ვიქნები შესაბამის სამართლებრივ ზომებს მივმართო. მე არ მესმის მილიონერი როცა ხარ, საკუთარ ნათესავს ბინას რატომ უნდა ართმევდე და ფულს რატომ უნდა სძალავდე?!!“ (11 ივლისის პოსტის ციტირება).* მოპასუხე ადვოკატმა ამ პოსტს თან დაურთო ფ-------- შ--------ის ფოტო და მას საჯაროდ თაღლითობაში დასდო ბრალი, თითქოს ის ვიღაცეებს ფულს სძალავდა, აშანტაჟებდა და ბინიდან აგდებდა.

1.6. საჩივრის ავტორის განმარტებით, პოსტი შეიცავდა არასწორ და შეურაცხმყოფელ ინფორმაციას. ადვოკატმა მისი ფოტო მოიპოვა საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გვერდიდან და მათი ოჯახის შესახებ არასწორი ინფორმაცია შეგნებულად გაავრცელა მათ მეგობრებთან. ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ საჯარო პოსტზე აკომენტარებდა არაერთი ადამიანი.

1.7. საჩივრის ავტორის შეფასებით, ლ--- ჯ---------- არის მატყუარა და მისი არც ერთი სიტყვის დაჯერება არ შეიძლება. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ადვოკატი საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე ამბობდა, რომ თითქოს მას და მის მეუღლეს არ იცნობდა, მოგვიანებით კი პოზიცია შეცვალა და მიუთითა, რომ ლ----- ზ-------ს საქმეს აწარმოებდა.

1.8. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ პირველივე წერილში, რომელიც ადვოკატ ლ--- ჯ----------სგან მიიღო, მითითებულია ლ--- ჯ----------ს სტატუსი - რომ იგი არის ლ----- ზ-------ს ადვოკატი, თუმცა, საჩივრის ავტორისათვის წარმოუდგენელია, რომ ეს ადამიანი იყოს ან ადვოკატი და/ან ჟურნალისტი, რამეთუ მისი შეფასებით, ლ--- ჯ----------მა ქართული წერა-კითხვა არ იცის.

1.9. რაც შეეხება ადვოკატის არგუმენტს მასზედ, რომ *სოციალური ქსელი, სადაც განთავსებული იყო სადავო პოსტი - გაუტეხეს,* საჩივრის ავტორმა დამატებით

განმარტა, რომ ეს ფაქტი, დადასტურების შემთხვევაშიც კი, ადვოკატის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავდა, ვინაიდან ადვოკატმა პოსტი გამოაქვეყნა ივლისის დასაწყისში და განცხადება „Facebook-ის“ გვერდის გატეხვის შესახებ, როგორც თავად განმარტავს, წარადგინა აგვისტოში.

2. 2022 წლის 20 ივლისს, ადვოკატმა ლ-–- ჯ----------–---მა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარადგინა ფ-------- შუბითის საჩივართან მიმართებით.

2.1. ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, ფ-------- შ--------ის საჩივარი მაგალითია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაზე ზეწოლის, შანტაჟისა და მუქარის. ასევე, მისი განმარტებით, ეს საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და მასზე გადამეტების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს.

2.2. ადვოკატის განცხადებით, მას „Facebook“ ანგარიში - „ლ-–- ჯ----------–---“ გაუტეხეს და ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. ამჟამად, ეს ანგარიში აღარ არსებობს და მისი მართვის შესაძლებლობაც აღარ აქვს. ივლისიდან აგვისტოს თვემდე, იგი თავად ცდილობდა ანგარიშის აღდგენას, შემდეგ კი, პოლიციას მიმართა. ადვოკატის განცხადებით, მას სადავო პოსტი ნანახი არ აქვს. ამჟამად იგი ფლობს „Facebook“ ანგარიშს - „ადვოკატი ლ-–- ჯ----------–---/lawyer l---- J---- ---------“ და ამ გვერდიდან მას საჯარო განცხადება არ გაუკეთებია.

2.3. საპროცესო ეტაპზე, ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ იგი არც ფ-------- შ---------ს იცნობს და არც ი---- შ--------ს. ამასთან, იგი მათ არც „Facebook“ მესენჯერის მეშვეობით დაკავშირებია, არც მიმოწერა განუხორციელებია და არც მათი ფოტოები გამოუქვეყნებია, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ კლიენტის დავალებითა და ინტერესის სასარგებლოდ, მას აქვს უფლება გაასაჯაროვოს ინფორმაცია, ხოლო, საჯაროდ გამხდარი ფოტოს გამოქვეყნება ადვოკატის მიერ არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას.

2.4. ადვოკატის მითითებით, საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამომდინარეობს სოციალური ქსელის მიმოწერებიდან, რომლებიც ავთენტური არ არის და მათი შინაარსი მოიცავს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ადვოკატმა განახორციელა თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირის დასაცავად, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატმა მიმოწერის მისადმი კუთვნილების ფაქტი გახადა სადავოდ და მტკიცების ტვირთი მომჩივანს დააკისრა. ამასთან, მიუთითა, რომ ფ-------- შ---------მ თავად შექმნა და გამოაქვეყნა პოსტები ყალბი „Facebook“-ის ანგარიშიდან, რისთვისაც საჩივრის ავტორმა გამოიყენა ის, რაც ადვოკატმა

საჩივრის ავტორს პირადში მისწერა.

2.5. მოგვიანებით, განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ლ-----– ზ-------ს საქმეში ჩართული იყო რწმუნებულად. ფ-------- შ---------მ თაღლითური გზით მიისაკუთრა ლ-----– ზ-------ს ქონება და 4 წელია სისხლიან ფულს სძალავს. ადვოკატის მოსაზრებით, საჩივრის ავტორი არის მანიპულატორი, ხოლო მისი ქმედება - ამორალური და ზღვარს გადასული. ადვოკატის მოსაზრებით, ფ-------- შ--------ის მიმართ სასამართლოში რომ წასულიყო, შედეგს დიდი ხანი ვერ მიიღებდა, ამიტომ არჩია კლიენტის სამართლებრივი პრობლემის სხვა საშუალებით მოგვარება. ადვოკატის პოზიციით, სასამართლოს გარეშე საქმის მოგვარება იყო მისი სტრატეგია. ადვოკატმა დამატებით ისიც აღნიშნა, რომ იგი თავს აღიქვამს მედია-ჟურნალისტად და ინფორმაციებს აქვეყნებს არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ჟურნალისტი; მას აქვს რამდენიმე გვერდი სოციალურ ქსელში, რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს და ის მედია საშუალებებს მართავს ისე, როგორც ჟურნალისტი. შესაბამისად, ამ საქმეში ის წარმოადგენდა არა ადვოკატს, არამედ ჟურნალისტს, რის გამოც, მისი ქმედებები უნდა შეფასებულიყო, როგორც ჟურნალისტის საქმიანობა და მასზე არ უნდა გავრცელებულიყო ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა.

2.6. ადვოკატი ადასტურებს, რომ ელექტრონული ფოსტით მიმოწერები მას აქვს განხორციელებული და განმარტავს, რომ კომუნიკაციისას ფ-------- შ--------- იყო არაადეკვატური, რაც გამოიხატებოდა მისი მხრიდან გაჟღერებულ ფრაზეოლოგიაში: *„დიპლომი მანახე“; „mail.ru-დან ნუ მწერ“, „წერტილ-მძიმე დამისაბუთე“.* ადვოკატმა აღნიშნა, რომ იგი სათანადოდ ვერ ამხელს მატყუარებს და თაღლითებს, იმის გამო, რომ ეთიკის კომისია ბოჭავს *(ციტირება: „მე რომ ასოციაციის წევრი არ ვიყო, ფ-------- შ--------- ახლა რაზეც დავობს, ეს არაფერია, ისეთი ბულინგის მსხვერპლი გახდებოდა“).*

3. 2022 წლის 13 ოქტომბერს, პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ-–– ჯ----------–---ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.ა; 5.გ; 6.1 მუხლებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 5; 9.1; 9.4 მუხლების სავარაუდო დარღვევის გამო და დისციპლინური საქმე განხილვის კოლეგიისათვის გადასაცემად ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს გადაეცა.

4. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 13 დეკემბრის მიწერილობით, საქმე „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“

დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განსახილველად გადაეცა მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას.

5. საქმეზე არსებითი სხდომა ჩატარდა 2023 წლის 20 დეკემბერს და 2024 წლის 17 იანვარს.

6. საქმის წარმოების მიმდინარეობისას, ადვოკატმა წარადგინა რამდენიმე შუამდგომლობა:

6.1. 2023 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე, ადვოკატმა ლ--- ჯ----------მა იშუამდგომლა კოლეგიის თავმჯდომარის - ანა ლორიას აცილების თაობაზე იმ მოტივით, რომ კომისიის წევრმა - ანა ლორიამ ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში განმარტა, რომ ის სტუდენტებთან ასაჯაროვებდა კონფიდენციალურ ინფორმაციას. განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატს დაევალა წარმოედგინა მის მიერ მითითებული, სხვა დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის სხდომის 2022 წლის 24 ივნისის სხდომის ოქმი, რომელზეც ამყარებდა თავის მოთხოვნას აცილების ნაწილში. ადვოკატს აღნიშნული ოქმი არ წარმოუდგენია. კოლეგიამ *(ანა ლორიას მონაწილეობის გარეშე)* დამოუკიდებლად გამოიკვლია სხდომის ოქმი, სადაც არ დადასტურდა ის პრეტენზია, რაც ადვოკატს კოლეგიის წევრის - ანა ლორიას მიმართ ჰქონდა. აღნიშნული საფუძვლით, შუამდგომლობა ანა ლორიას აცილების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

6.2. 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე, ადვოკატმა ლ--- ჯ----------მა კიდევ ერთხელ იშუამდგომლა კოლეგიის თავმჯდომარის - ანა ლორიას აცილების თაობაზე იმ მოტივით, რომ მას, 2021 წელს, არაერთხელ აქვს მიმართული პროკურატურისათვის პერსონალური მონაცემების შესაძლო გასაჯაროვების გამო, ანა ლორიას მიმართ გამოძიების დაწყების თაობაზე. განხილვის კოლეგიამ *(ანა ლორიას მონაწილეობის გარეშე)* განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობა კოლეგიის თავმჯდომარის - ანა ლორიას აცილების თაობაზე და მიიჩნია, რომ არ არსებობდა ადვოკატთა დისციპლინური პასუხიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 11.1 მუხლით გათვალისწინებული აცილების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, კომისიამ დამატებით განმარტა, რომ შუამდგომლობის წარდგენისას დარღვეული იყო პროცესუალური მხარეც; კერძოდ, ადვოკატის მიერ დარღვეული იყო აცილების შესახებ პრეტენზიის წარდგენის დებულებით გათვალისწინებული ვადა. შესაბამისად, კოლეგიამ წარმოდგენილი შემადგენლობით გააგრძელა დისციპლინური საქმის განხილვა.

6.3. ამავე თარიღის სხდომაზე, ადვოკატმა ლ-–- ჯ----------–---–მა იშუამდგომლა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე იმ მოტივით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდიონარეობდა საქმის განხილვა მის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული დისკრიმინაციის საფუძვლით. კოლეგიამ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ N057/22 დისციპლინურ საქმეზე შეჩერებული იყო წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებიდან გამომდინარე. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება კი, უკვე გაუქმებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22.1 მუხლის საფუძველზე.

6.4. 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზევე, ადვოკატმა მოწმის სახით, მისი კლიენტის - ლ-–-– ზ-------ს გამოკითხვის თაობაზე იშუამდგომლა. კოლეგიამ ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

6.4.1. ადვოკატის მარწმუნებლის - ლ-–-– ზ-------ს განმარტებით, ნათესავთან სამართლებრივი პრობლემის მოგვარების მიზნით, ადვოკატ ლ-–- ჯ----------–---ს მიმართა. მოწმის ინფორმაციით, მან ნათესავს - ი---- შ--------ს სთხოვა ფინანსური დახმარება - 9000 აშშ დოლარის ოდენობით. ნათესავმა ფული მანამდე არ მისცა, სანამ გარანტიის სახით ბინა არ გადაუფორმა. ბინის გადაფორმების შემდეგ, ლ-–-– ზ------- თანხას ი---- შ--------ს მეუღლეს - ფ------- - შ---------ს უხდიდა, რომელთანაც ბინის შესახებ მოლაპარაკება არ ჰქონია. მოლაპარაკებას აწარმოებდა საკუთარ დეიდაშვილთან - ი---- შ--------სთან, თუმცა ბინა გაფორმდა ფ-------- შ--------ის სახელზე. მოწმის ჩვენებით, მას ემიგრაციაში შეექმნა პრობლემები და ერთი წლის განმავლობაში გაუჭირდა მუშაობა. ი---- შ--------მ შესთავაზა, რომ სანამ ძირ თანხას დაფარავდა, გადაეხადა პროცენტები, რასაც დასთანხმდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. რაღაც პერიოდი ვერ იხდიდა პროცენტს და ი---- შ--------ს სთხოვა, თანხა გაენაწილებინა. ჯამური თანხა გაუნაწილდა 36 თვეზე. 21 თვე იხდიდა, რის შემდეგაც დაემთხვა პანდემია და ვეღარ შეძლო გადახდის გაგრძელება. ი---- შ---------მ შესთავაზა ადვოკატის აყვანა, რათა მასთან გაერკვია ფინანსური საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ ლ-–- ჯ----------–---ს. მოწმის განმარტებით, მან ადვოკატს სთხოვა დახმარება ფ---------- შ---------სა და ი---- შ--------სთან კომუნიკაციაში იმ მიზნით, რომ გარკვეულიყო რა ოდენობის თანხა ჰქონდა კიდევ გადასახდელი, მაგრამ ი---- შ-------მ ადვოკატი დაბლოკა და მას შეუთვალა - *„ვინ გამომიგზავნე, უტვინოო“.* ამის შემდეგ დაუკავშირდა ადვოკატი ლ-–- ჯ----------–---– და აცნობა, რომ ი---- შ-------

- მასთან კომუნიკაციაში არ შევიდა; ჰკითხა ბინა ვის სახელზე იყო, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ ბინა ფ-------- შ--------ის სახელზე იყო რეგისტრირებული. მისი ინფორმაციით, ფ-------- შ---------მ ადვოკატს მოსთხოვა დოკუმენტები, რაც ადვოკატმა გაუგზავნა, თუმცა მოპალარაკება ვერც ფ-------- შ---------სთან შედგა. მოწმემ აღნიშნა, რომ მას ფ-------- შ---------სთან არანაირი მოლაპარაკება არ ჰქონია და ადვოკატისთვის არ უთქვამს, რომ ის თანხას სძალავდა, თუმცა, ადვოკატს მისცა უფლება გამოექვეყნებინა ინფორმაცია ფ-------- შ--------ისა და ი---- შ--------ს შესახებ, სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით. მომჩივანის კითხვაზე, თუ ვინ ცხოვრობს ამჟამად მის საკუთრებაში არსებულ ბინაში, ლ----– - ზ-------მ განმარტა, რომ ბინაში თავად ცხოვრობს.

6.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე ადვოკატმა იშუამდგომლა საქმეზე მტკიცებულების სახით ჟურნალისტური ეთიკის ქარტიიდან წარმოდგენილი ცნობის დართვის თაობაზე, რათა დაედასტურებინა, რომ ის ნამდვილად ახორციელებს ჟურნალისტურ საქმიანობას და ჰყავს ფართო აუდიტორია. წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული იყო ინფორმაცია მასზედ, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება განახორციელოს ჟურნალისტური საქმიანობა. აღნიშნული დოკუმენტის საქმეზე დართვის თაობაზე შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია განახორციელოს ჟურნალისტური საქმიანობა, რაც საჯარო ინფორმაციაა და აღნიშნული არ იყო სადავო.

6.6. ამავე თარიღის სხდომაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, ადვოკატმა იშუამდგომლა საქმეზე პრეცედენტის სახით, ეთიკის კომისიის ამავე კოლეგიის მიერ გამოტანილი კონკრეტული გადაწყვეტილებების დართვის თაობაზე. კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ადვოკატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორი იყო და გადაწყვეტილებები ამავე კოლეგიის მიერ გამოტანილი არ იყო. ამასთან, წარმოდგენილი გადაწყვეტილებები ფაქტების ნაწილში სადავო საკითხისაგან განსხვავებული იყო და განსახილველ საქმეს არ უკავშირდებოდა. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილებების გამოყენების საკითხს, კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატს ჰქონდა უფლება მისი პოზიცია დაესაბუთებინა ნებისმიერი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელსაც ის ჩათვლიდა საჭიროდ, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს, თარიღისა და საქმის ნომრის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მითითებით.

7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა და მოწმის ახსნა-განმარტებები, შეაფასა ადვოკატ ლ-— ჯ----------ს ქცევა, მის მიერ ფ-------- შ--

------ის მისამართით გამოქვეყნებული საჯარო პოსტების შინაარსი და დაადგინა, რომ ლ-–- ჯ----------–---ს მხრიდან ვლინდებოდა დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ - კლიენტის ინტერესების კანონიერი და ეთიკური საშუალებით დაცვისა და პროცესის მონაწილესთან კომუნიკაციის სტანდარტის დარღვევა *(ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 5.ბ და 6.1; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 5, 9.1 და 9.4),* რის გამოც ადვოკატს 2024 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილებით, დისციპლინური სახდელის ფორმად განესაზღვრა „გაფრთხილება".

8. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში, საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

8.1. ადვოკატი ლ-–- ჯ----------–--- წარმოადგენს ლ-----– ზ-------ს ინტერესებს, ფ-------- შ--------ისა და ი---- შ--------ს წინააღმდეგ დავაში;

8.2. 2022 წლის 05 ივნისს და ამავე წლის 11 ივლისს, სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან „ლ-–- ჯ----------–---" საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის „პოსტები": *1) „ცნობილი დოქტორი ამერიკაში მცხოვრები მილიონერმა საკუთარ ნათესავის ბინა ჯერ გადაიფორმა ხელშეკრულების გარეშე შემდეგ კი ფულს სძალავდა ატყუებდა საკუთარ ნათესავებს, შემდეგ მე ადვოკატს ანუ მე მოლაპარაკება რომ ვცადე შანტაჟი გამიკეთა და დამემუქრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს რომლებიც მისი დეიდაშვილები არიან ქუჩაში ყრის. მითხარით რა არის ეს?" (05 ივნისის პოსტის ციტირება); 2) „ფ-------- შ---------ვ არაერთხელ მოგწერეთ თქვენი და თქვენი მეუღლის ი---- შ--------ს მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თქვენი მეუღლის ნათესავია რომლის ქონებაც გადაიფორმეთ და თანხას სძალავდით წლობით. ან კავშირზე გამოდით დროულად ან იძულებული ვიქნები შესაბამის სამართლებრივ ზომებს მივმართო. მე არ მესმის მილიონერი როცა ხარ, საკუთარ ნათესავს ბინას რატომ უნდა ართმევდე და ფულს რატომ უნდა სძალავდე?!!" (11 ივლისის პოსტის ციტირება);*

8.3. სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან - „ლ-–- ჯ----------–---", ფ-------- შ---------მ მიიღო შეტყობინება: *„ლ-----– ზ-------ს ადვოკატი ვარ თქვენი დეიდაშვილის".* შეტყობინებას თან ერთვის მინდობილობა ფოტოს სახით.

8.4. ფ-------- შ---------სთან მის ელექტრონულ ფოსტაზე - *f----------@dartmouth.edu* ადვოკატს კომუნიკაცია ჰქონდა ორი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - *j----------l----@gmail.com* და *l-----j----------@mail.ru*

8.5. *l-----j----------@mail.ru ელექტრონული ფოსტიდან განხორციელებულია*

შემდეგი შინაარსის კომუნიკაცია:

***ადვოკატი**: „გამარჯობათ, ადვოკატი ვარ ლ--- ჯ----------ლ------ ზ-------ს ადვოკატი ვარ რომელიც თქვენი მეუღლის ნათესავია. მოლაპარაკება მსურს თქვენთან როგორ გავაფორმოთ ბინასთან დაკავშირებით“;*

***ფ-------- შ---------**: „გამარჯობა, ვინ ბრძანდებით? თუ გამართულ ქართულად ვერ წერთ მომწერეთ თქვენთვის მისაღებ ენაზე. გთხოვთ წერილს მიუთითოთ „subject“ და გამოიყენოთ ოფიციალური იმაილის მისამართი. რუსულ სერვერებიდან იმაილებს ძიითადად არ ვღებულობ/ვკითხულობ“;*

***ადვოკატი**: „გამარჯობათ ადვოკატი ვარ როგორ დაგეკონტაქტოთ“;*

***ადვოკატი**: „ტელეფონი მომწერეთ არცისაა გამართული საკუთარ ნათესავს ათასებიარიცხინოთ“;*

***ფ-------- შ---------**: „კიდევ ერთხელ, გთხოვთ ჩამოაყალიბოთ რა მოპალარაკებაზე საუბრობთ, რა საკითხი გინდათ განიხილოთ, რას ითხოვთ? გთხოვთ გამართული ქართულით დაწეროთ წერილი და მომწეროთ არა რუსული სერვერიდან“;*

***ადვოკატი:** „გამარჯობათ ბატონო ფ-------- თქვენს მეუღლეს და თქვენთან მოლაპრაკება მსურს ვაწარმოო თქვენი მეუღლის ახლო ნათესავის ადვოკატი ვარ თქვენი პასუხი მაცნობეთ“ (შეტყობინებას თან ერთვის 2 pdf ფაილი დასახელებით - „მინდობილობა“; „ადვოკატის ნომერი“);*

***ადვოკატი**: „თუ რამევერ გაიგეთ გაიკითხეთვინაა ლ--- ჯ---------- ადვოკატი მოლაპრაკებისმიზნით გწერთ შეურაცყოფებს ნუ მაყენებთ“;*

***ადვოკატი**: „რა თანხას ითხოვთ სანაცვლოდ ბინა რომ დაუბრუნდეს ჩემს მარწმუნებელს ხელშკერულება გავაფორმოთ“;*

***ადვოკატი**: „ადამიანთან ნდობაში შესვლა ქონებრივი სარგებლის მიღების მიზნით ქონებრივისარგებლის მიღება და მოტყუება თაღლითობის შემადგენელი ნაწილია იურიდიულ სფეროში. ბატონო ფ-------- სავარაუდო დანაშაულია ჩადენილი ჩემი მარწმუნებლის მიმართ ხელშეკრულების გარეშე 10 000$ აქვს გადახდილი ანმეევრგიხსნით ან თქვენ ვერ აცნობიერებთ რასათან გაქვთ საქმე“;*

***ფ-------- შ---------**: „გთხოვთ დაწეროთ გამართული წინადადებები სასვენი ნიშნებით! საუბრის გაგრძელებისთვის მინდა თქვენი დიპლომის ასლი, მინდა ვიცოდე რომელი უნივერსიტეტი დაამთავრეთ, რომელ წელს? კიდევ ერთხელ, მომწერეთ არა რუსული სერვერებიდან, შესაძლებელია თქვენი mail.ru დაიბლოკოს და მე აღარ მივიღო თქვენი შეტყობინება“;*

***ადვოკატი**: „ჯანმრთელი თუ ხართ?“;*

***ადვოკატი**: „რასასვენი ნიშნები თაღლითობებზე ვსაუბრობ ჩემიდაცვის ქვეშ მყოფის ბინა გაქვთ გადაფორმებული საკუთარი ცოლის ნათესავის და ემუქრებით ღია ცის ქვეშ დარჩენით კიდე მე მიდევთ ასეთ საუბარს?????“;*

***ადვოკატი**: „თქვენი დიპლომი არ მაინტერესებს არც თქვენი მიღწევები, მესაქმეზე გიკავშირდებით, ადვოკატი დამაკავშირეთ თქვენ თუ ელემენტარულ იურიდიულ ტერმინებში ვერ ერკვევით“;*

***ადვოკატი**: „ძაან არ მომწონს თქვენი საუბარი მაიძულებთ საჩივრები შევიტანო გენ პროკურატურაში და პრესკონფერენციები ჩავატარო.... თაღლითობებია ამ საქმეში თანხას რის საფუძველზე სძალავდით ჩემიდაცვის ქვეშ მყოფს???“;*

***ადვოკატი:** „მეორედ მსგავსი შეურაცმყოფელი ტექსტი არ მომწეროთ თქვენს სტუდენტებში ნუ გეშლებით“;*

***ადვოკატი**: „ბატონო ფ-------- რამდენიც გინდათ თანხა დავაფიქსიროთ მაგ 18 000$ მაგ 10 000$ ეს ყველაფერი ტელეფონით გწერთ დაბოდიშით ახალიტელეფონია და კლავიატურა ცოტა ურევს“;*

***ადვოკატი**: „ჯიმაილიდან გწერთ კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ თაღლითობით შეიძლება ვიჩივლოთ იძულებულ გვხდით გამოძიება თუ დაიწყება ინტერპოლს ჩავრთავთ და ამერიკის საელჩოს და ამერიკის ფედერალურ პოლიციას";*

***ადვოკატი**: „თქვენ რომელი უნივერსიტეტი დაამთავრეთ? თუ შეიძლება მომწერეთ გამართულ იჩამოყალიბებული აზრი შეგახსენებთ თაღლითობის ნიშნებია თქვენს საქმეში".*

***8.6.** j----------l----@gmail.com ელექტრონული ფოსტიდან განხორციელებულია შემდეგი შინაარსის კომუნიკაცია:*

***ადვოკატი:** „ბატონო ფ-------- გამარჯობათ მე ლ--- ჯ---------- ვარ".*

9. ამავე გადაწყვეტილებაში, განხილვის კოლეგიამ მხარეთა მიერ წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობით, დაადგინა სადავო ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ 2022 წლის 05 ივნისსა და ამავე წლის 11 ივლისს, სოციალურ ქსელ „Facebook"-ში გამოქვეყნებული სადავო საჯარო პოსტების ავტორს ადვოკატი ლ--- ჯ---------- წარმოადგენდა.

10. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი უდავო და სადავო ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის მიერ, ფ-------- შ--------ის მისამართით გამოქვეყნებული პოსტების გამოხატვის ადგილზე *(სოციალური მედია),* შინაარსზე, ადვოკატის ქცევაზე, ასევე, კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედების ფარგლები, მიზანი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა - სოციალურ ქსელში ადვოკატზე ეთიკის კოდექსის გავრცელების თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა - ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან მიმართებით და მიიჩნია, რომ ადვოკატმა პოსტებში ინფორმაცია გამოაქვეყნა საჯაროდ, ფაქტის და არა აზრის სახით; განათავსა კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ფოტო და საზოგადოებას მისცა შესაძლებლობა, მიწოდებული ინფორმაციის კონტექსტში გამოეთქვათ საკუთარი აზრი. იმავდროულად, განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტის საქმეზე იმ პირობებში, როდესაც საქმის ფაქტებს თავად არ იცნობდა და განხილვის კოლეგიის სხდომაზე თავის მოწმესთან - კლიენტთან აზუსტებდა, გაასაჯაროვა არასწორი, გამოუკვლეველი ინფორმაცია მხარისათვის შეურაცხმყოფელი ფორმით, რის შედეგადაც, პოსტის კომენტარებში არაერთი ადამიანი საჩივრის ავტორს მოიხსენიებდა შეურაცხმყოფელი ტერმინებით - *„ღორობა"; „თავგასულობა"; „უნამუსობა„; „ნაგავი", „უღმერთო გაუმაძღარი ღორის საქციელი".* პოსტების შინაარსში გამოხატული მოსაზრებები განხილვის კოლეგიის შეფასებით, არ ექცეოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლეში, რადგან ის გადმოცემული იყო

შეურაცხმყოფელი ფორმით, რომელსაც არ ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი. ადვოკატის მიერ არასწორი, შეურაცხმყოფელი ფაქტების გასაჯაროება და გავრცელება, რასაც ჰქონდა არა სამართლებრივი, არამედ მხარეზე იძულების - შანტაჟის სახე მისი დისკრედიტაციით, წარმოადგენდა პროფესიული სტანდარტების შეუსაბამო ქცევას და ეთიკურ გადაცდომას.

11. განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა ადვოკატის შედავება მასზედ, რომ *ის მოქმედებდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ჟურნალისტი* და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, ლ--- ჯ---------- მოქმედ ადვოკატს წარმოადგენა; იგი შესაძლოა ზოგადად მიჩნეულიყო „ბლოგერად“, რომელსაც სოციალურ ქსელში ჰყავს მიმდევრები, თუმცა ეს საქმიანობა ვერ ჩაითვლებოდა ამ შემთხვევაში ჟურნალისტურ საქმიანობად და ვერ მოახდენდა იმ ვალდებულებების ნეიტრალიზებას, რაც ადვოკატს პროფესიული რეგულაციებით ეკისრებოდა. განხილვის კოლეგიის განმარტებით, განსახილველ საქმეში ლ--- ჯ----------ს, როგორც ადვოკატის ჩართულობა თავიდანვე ცხადი იყო, რომელიც დასტურდებოდა როგორც მხარეთა და მოწმის ახსნა-განმარტებებით, ისე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით *(ელ. მიმოწერები, ფეისბუქ მიმოწერები და.ა.შ.).*

12. განხილვის კოლეგიის მოსაზრებით, ადვოკატის პასუხისმგებლობას ვერც ის არგუმენტი გამორიცხავა, რომ *„მსგავსი ქმედება იყო ადვოკატის სტრატეგიის ნაწილი“,* რამეთუ მოცემული ფორმით შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გასაჯაროვება, „შანტაჟი“ და „მუქარა“, ვერ ჩაითვლებოდა ეთიკური სტანდარტების შესაბამისად შერჩეულ სტრატეგიად და ადვოკატს კლიენტის ინტერესები სამართლებრივი, კანონიერი და ეთიკური საშუალებებით უნდა დაეცვა.

13. განხილვის კოლეგიამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ადვოკატმა ლ--- ჯ----------მა პროფესიული სტანდარტი არც განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაიცვა, სადაც არაერთხელ განმარტა, რომ *„ფ--- ----- შ---------მ თაღლითური გზით მიისაკუთრა ლ----- ზ-------ს ქონება და მას 4 წელი სისხლიან ფულს სძალავდა“;* ამავე დროს, საჩივრის ავტორს უწოდა *„მანიპულატორი“; „არაადეკვატური“* და მისი ქმედება შეაფასა როგორც *„ამორალური და ზღვარს გადასული“.*

14. რაც შეეხება ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის შეფარდებული სახდელის პროპორციულობას, ამ მიმართებით, განხილვის კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ადვოკატის დამოკიდებულება საკითხისადმი *(2024 წლის 17 იანვრის განხილვის კოლეგიის სხდომის მიმდინარეობისას, ადვოკატი მხარეს - ფ-------- შ---------ს უყვიროდა, თავის პოზიციას აფიქსირებდა შეუფერებელი - მუქარის შემცველი და ყვირილის ტონით, რის გამოც კოლეგიამ მას არაერთხელ მოუწოდა სხდომაზე*

დაეცვა წესრიგი. ადვოკატის არასათანადო ქცევის გამო, კოლეგიამ მას სხდომის მიმდინარეობისას რამდენჯერმე გამოურთო მიკროფონი. თავისი ქცევით, ადვოკატი ხელს უშლიდა საკითხის კვლევას. კომისიას აძლევდა ურთიერთგამომრიცხავ ახსნა-განმარტებებს, არაეთიკური ქცევა გახდა ადვოკატის სტრატეგია), ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ *(ადვოკატი არ ნანობს და მიიჩნევს, რომ მისი ქცევა ეთიკურია. ადვოკატმა სხდომაზე გულისწყვეტა გამოხატა მარტოოდენ იმის გამო, რომ პროფესიული რეგულაციების გამო, სათანადოდ ვერ ამხელს „მატყუარებს და თაღლითებს“),* არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა *(კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ლ--- ჯ---------- ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს),* პროფესიისათვის მიყენებული ზიანი *(ადვოკატის ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი, რომელმაც დააზიანა საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობა),* ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომა, რომელიც გაქარწყლებული არ არის *(ადვოკატ ლ--- ჯ----------ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის 03 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე №033/22, შეფარდებული აქვს სხვა დისციპლინური სახდელი - „გაფრთხილება“, რომელიც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 27 დეკემბრის №სსდ-07-23 გადაწყვეტილებით)* და მიიჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნებოდა, რის გამოც, დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა - „გაფრთხილება“.

15. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 08 თებერვლის N056/22 გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - ლ--- ჯ----------მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

15.1.საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც თავად უარყოფს „Facebook“ პოსტების გამოქვეყნების ფაქტს, სადავოდ ხდის აღნიშნულის თაობაზე წარმოდგენილი სქრინების ავთენტურობას და აცხადებს, რომ ანგარიში იყო გაუქმებული, რაზედაც მიმდინარეობს გამოძიება, ეთიკის კომისიას მტკიცების ტვირთი მისთვის არ უნდა დაეკისრებინა. ამასთან, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სადავო „Facebook“ პოსტების მისი მხრიდან გამოქვეყნების დადასტურების შემთხვევაშიც, მისი შინაარსი მოიცავდა არა ფაქტს, არამედ შეფასებით მსჯელობას.

15.2.საჩივრის ავტორის მოსაზრებით, განსახილველი საქმე ადვოკატის წინააღმდეგ უკანონოდაა წარმოებული და ეწინააღმდეგება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ადვოკატები იმავდროულად წარმოადგენენ ჟურნალისტებთან გათანაბრებულ პირებს და

მეორე მხრივ, იმიტომ, რომ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მათი კრიტიკული გამონათქვამები და საჯარო განცხადებები, არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი, რაზედაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეთიკის კომისიასაც არაერთხელ აქვს გამოყენებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას.

15.3. ასევე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია ექცევა დისკრიმინაციულად, რამეთუ ანალოგიურ საქმეებზე, სხვა ადვოკატების მიმართ დისციპლინური დევნა არ აღძრულა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და მის დაქვემდებარებაში არსებული ეთიკის კომისია, მის მიმართ იყენებს შერჩევით მართლმსაჯულებას და იმავდროულად, მიკერძოებული და ნეგატიურად განწყობილია; ეთიკის კომისიის ერთ-ერთმა წევრმა კი, მის შესახებ პირადი მონაცემები გაავრცელა, რამაც საჩივრის ავტორის ჯანმრთელობას ვნება მიაყენა.

15.4. გარდა ზემოაღნიშნულისა, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმე №057/22 უკანონოდ გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას, რაც მის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მიუთითებს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ლ––– ჯ----------ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 08 თებერვლის №056/22 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სადისციპლინო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, *სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.* შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული შედავების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ

განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას განუმარტავს.

18. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორის შესახებ ადვოკატ ლ--- ჯ--------------ს საჩივარში შედავება განხორციელებული არ არის და ამასთან, არც რაიმე ისეთი სახის მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც სადისციპლინო პალატას მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ, წინამდებარე გადაწყვეტილების 8.1.-8.6. პუნქტებში მითითებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებს.

19. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმართ, საჩივრის ავტორის პრეტენზიები წარმოდგენილია ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ფაქტობრივი თვალსაზრისით, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ განხილვის კოლეგიამ არასწორად დაადგინა 2022 წლის 05 ივნისსა და ამავე წლის 11 ივლისს, სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან *(„ლ--- ჯ--------------")* გამოქვეყნებული „Facebook" პოსტების მისადმი კუთვნილების ფაქტი და მიიჩნევს, რომ ამ სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, განხილვის კოლეგიამ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. სამართლებრივი თვალსაზრისით კი, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება განხილვის კოლეგიის შეფასებას მასზედ, რომ სადავო პოსტებში გამოხატული გამონათქვამები არ ექცეოდა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში, რაც მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას განაპირობებდა. განხილვის კოლეგიის მოტივაციის საპირისპიროდ, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ არ არსებობდა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი ერთი მხრივ, იმის გამო, რომ სადავო პოსტების შინაარსი მოიცავდა შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტს; მეორე მხრივ, იმის გამო, რომ კლიენტის ინტერესის დასაცავად ინფორმაციის გასაჯაროვება არ წარმოადგენდა ეთიკურ გადაცდომას; ხოლო, მესამე მხრივ, იმის გამო, რომ იგი ამ საქმეში მოქმედებდა როგორც ჟურნალისტი და მასზე არ უნდა გავრცელებულიყო ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა.

20. შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში, სადისციპლინო პალატის ძირითადი შეფასების საგანს წარმოადგენს სადავო „Facebook" პოსტები გამოქვეყნებულია თუ არა ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მიერ; საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, სწორად განაწილდა თუ არა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და სადავო „Facebook" პოსტების ადვოკატ ლ--- ჯ----------

-ს მიერ გამოქვეყნების დადასტურების შემთხვევაში, მათში გადმოცემული გამონათქვამები ექცევა თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში, რაც ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას განაპირობებს.

21. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორმა დასაბუთებული შედავება ანდა რაიმე რელევანტური მტკიცებულება ვერ დაუპირისპირა განხილვის კოლეგიის მსჯელობას მასზედ, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობით, დგინდებოდა სადავო ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ 2022 წლის 05 ივნისსა და ამავე წლის 11 ივლისს, სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან *(„ლ--- ჯ----------")* საჯაროდ გამოქვეყნებული სადავო პოსტების ავტორს ადვოკატი ლ--- ჯ---------- წარმოადგენდა.

22. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგოდ, სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის შედავებას მომჩივნის - ფ-------- შ--------ის მიერ წარმოდგენილი „სქრინების" არაავთენტურობის თაობაზე და ამ მიმართებით, სადისციპლინო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოება მარტოოდენ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი „სქრინების" გამოკვლევის შედეგებს არ ემყარება და ამ გარემოების დადგენისას, განხილვის კოლეგიამ დამატებით მხედველობაში მიიღო ის გარემოებებიც, რომ პოსტში აღწერილი იყო საქმის შინაარსი, რომელიც შეიძლება იცოდეს მხოლოდ საქმის მხარემ და მისმა ადვოკატმა; ანალოგიური საქმის შინაარსი იყო აღწერილი მხარეთა შორის ელექტრონული ფოსტით განხორციელებულ კომუნიკაციაში, რომლის კუთვნილებაც, თავად ადვოკატმა დაადასტურა; ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების შინაარსი, თავის მხრივ, ემთხვეოდა პოსტებისა და ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმოწერის შინარსს; ამასთან, განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის მოწმის, მისი კლიენტის - ლ----- ზ-------ს ჩვენებაზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ლ--- ჯ---------- იყო მისი ადვოკატი და მან მისცა ფაქტების გასაჯაროვების უფლება. ნიშანდობლივი იყო, რომ ადვოკატი სამართალწარმოების დროს სადავო საკითხთან დაკავშირებით მუდმივად ცვლიდა პოზიციებს; კერძოდ, საპროცესო ეტაპზე მიუთითებდა, რომ საერთოდ არ იცნობდა ფ-------- შ---------ს, ხოლო, საქმეზე დართული მიმოწერები არაავთენტური და სადავო იყო; განხილვის ეტაპზე კი, ადვოკატი მიუთითებდა, რომ იგი ლ----- ზ-------ს ადვოკატს წარმოადგენდა და მის საქმესთან დაკავშირებით ფ-------- შ---------სთან მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ჰქონდა კომუნიკაცია. გარდა ამისა, სადავო ფაქტობრივი

გარემოების დადგენისას, განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა ადვოკატის მითითება მასზედ, რომ იგი ჰაკერული თავდასხმის მსხვერპლი იყო და აღნიშნულის დასადასტურებლად, არარელევანტურად მიიჩნია ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა. ამ მიმართებით, განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა მასზედ, რომ ადვოკატ ლ--- ჯ----------ს საჯაროდ არასოდეს უარყვია, რომ განცხადებები, რომლებიც მისი „Facebook“ პროფილიდან გამოქვეყნდა, მის მოსაზრებას არ წარმოადგენდა და ამის გამო, არც რაიმე სახის სინანული გამოუთქვამს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ადვოკატი წუხდა იმის გამო, რომ იგი სათანადოდ ვერ ამხელდა მატყუარებს და თაღლითებს, რადგან ეთიკის კომისია მას ბოჭავდა *(ციტირება: „მე რომ ასოციაციის წევრი არ ვიყო, ფ-------- შ--------- ახლა რაზეც დავობს ეს არაფერია, ისეთი ბულინგის მსხვერპლი გახდებოდა“);* მეტიც, ადვოკატის პოზიციას წარმოადგენდა ის, რომ *„კლიენტის ინტერესის დასაცავად ინფორმაციის გასაჯაროვება არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას“.*

23. ამდენად, სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას, განხილვის კოლეგია დაეყრდნო არა მარტო მომჩივნის მიერ წარმოდგენილი „სქრინების“ გამოკვლევის შედეგებს, არამედ დამატებით მხედველობაში მიიღო მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი და ზეპირი პოზიციები, მათ შორის, ადვოკატის არათანმიმდევრული პოზიციები; ადვოკატის მხრიდან ფ-------- შ---------სთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით განხორციელებული მიმოწერის შინაარსი, რომელიც სრულ თანხვედრაშია სადავო პოსტებისა და ადვოკატის მიერ, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტების შინაარსთან ***(მაგ., სადავო პოსტებში მითითებულია შემდეგი ტერმინები და გამონათქვამები:*** *„.....საკუთარ ნათესავის ბინა ჯერ გადაიფორმა ხელშეკრულების გარეშე შემდეგ კი ფულს სძალავდა ატყუებდა საკუთარ ნათესავებს“; „.....ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს რომლებიც მისი დეიდაშვილები არიან ქუჩაში ყრის“; „.....ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თქვენი მეუღლის ნათესავია რომლის ქონებაც გადაიფორმეთ და თანხას სძალავდით წლობით“;* ***ელექტრონული ფოსტის მიმოწერაში მითითებულია მსგავსი შინაარსის შემდეგი ტერმინები და გამონათქვამები:*** *„.....ჩემიდაცვის ქვეშ მყოფის ბინა გაქვთ გადაფორმებული საკუთარი ცოლის ნათესავის და ემუქრებით ღია ცის ქვეშ დარჩენით...“; „...თაღლითობებია ამ საქმეში თანხას რის საფუძველზე სძალავდით ჩემიდაცვის ქვეშ მყოფს???“; „...თაღლითობით შეიძლება ვიჩივლოთ...“; „...თაღლითობებია ამ საქმეში, თანხას რის საფუძველზე სძალავდით ჩემიდაცვის ქვეშ მყოფს???“; „..თაღლითობით შეიძლება ვიჩივლოთ“...; „....თაღლითობებზე ვსაუბრობ ჩემიდაცვის ქვეშ მყოფის ბინა გაქვთ გადაფორმებული“;* ***განხილვის კოლეგიის 2024 წლის 17 იანვრის სხდომაზე გაჟღერებულია მსგავსი შინაარსის შემდეგი ტერმინები და გამონათქვამები: „.....*** *ფ-------- შ---------მ თაღლითური გზით მიისაკუთრა ლ----- ზ-------ს ქონება და 4 წელია სისხლიან ფულს სძალავს“);* ადვოკატის მოწმის/კლიენტის - ლ----- ზ-------ს ჩვენება, თავად ადვოკატის დამოკიდებულება საკითხისადმი და სადავო საჯარო „Facebook“ პოსტების ადვოკატისადმი კუთვნილების ფაქტი მათი ურთიერთშეჯერების, გონივრული და ობიექტური განხილვის შედეგად

დაადგინა.

24. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ეთიკის კომისიის მიერ მითითებულ გარემოებათა შეფასებაც უკვე საკმარისია და იძლევა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ სადავო „Facebook“ პოსტების ავტორს ადვოკატი ლ--- ჯ---------- წარმოადგენდა, თუმცა, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საწინააღმდეგოს დაშვების შესაძლებლობას *(სადავო პოსტების სხვა პირის მიერ გამოქვეყნების ფაქტს)* გამორიცხავდა ადვოკატის ის ახსნა-განმარტებაც, რომ *„ფ-------- შ--------ის მიმართ სასამართლოში რომ წასულიყო, შედეგს დიდი ხანი ვერ მიიღებდა, ამიტომ არჩია კლიენტის სამართლებრივი პრობლემის სხვა საშუალებით მოგვარება“, „სასამართლოს გარეშე საქმის მოგვარება იყო მისი სტრატეგია“.* პალატა მიიჩნევს, რომ დასახელებული ახსნა-განმარტება ფაქტობრივად წარმოადგენდა სადავო „Facebook“ პოსტების ადვოკატისადმი კუთვნილების დადასტურებას, ხოლო ადვოკატის მითითება მასზედ, რომ *„მისი ქმედებები უნდა შეფასებულიყო, როგორც ჟურნალისტის საქმიანობა და მასზე არ უნდა გავრცელებულიყო ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა“,* წარმოადგენდა ადვოკატის მცდელობას - გარკვეული გამართლება მოეძებნა საკუთარი ქმედებებისათვის.

25. ამდენად, ზემოაღნიშნულ გარემოებათა *(იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 22-ე - 24-ე აბზაცები)* ურთიერთშეჯერების, მათი ერთობლივი, სისტემური ანალიზისა და შეფასების შედეგად, სადისციპლინო პალატას არ რჩება კითხვის ნიშნები ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ სადავო ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საჩივრის ავტორმა მოგვიანებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში წარმოდგენილ საჩივარში უკვე ერთმნიშვნელოვნად და გარკვევით დაადასტურა სადავო „Facebook“ პოსტების მისი მხრიდან გამოქვეყნების ფაქტი *(ციტირება: „ვაფრთხილებდი, რომ ვუჩივლებდი და გავასაჯაროვებდი საჩივარს, თუმცა ეს არაფრად ჩაგდეს, რის შემდგომაც კლიენტის ნოტარიული თანხმობით, კლიენტის სურვილისა და მოთხოვნის, გავასაჯაროვე ინფორმაცია გაფრთხილების თაობაზე, სადაც მოვუწოდე ი---- შ--------ს და მის მეუღლეს, რომ მათ ქმედებებში იყო თაღლითობის და გამოძალვის ნიშნები“).*

26. საჩივრის ავტორის მომდევნო შედავებასთან მიმართებით, რომელიც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებას შეეხება, სადისციპლინო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *განხილვის კოლეგია დისციპლინურ საქმეს იხილავს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით.* მითითებული პრინციპების მიხედვით, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს

დადასტურებული ეს ფაქტები. ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი, მხარეს არ ათავისუფლებს მტკიცების ტვირთის ვალდებულებისგან *(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები: №სსდ-18-19, 27.06.2019 წ.; №სსდ-07-2023, 27.12.2023 წ.)* და თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის პოზიციას *(სსსკ-ის 102.1 მუხლი).* ამდენად, მხარეები მარტოოდენ ფაქტების მითითებით, მათთვის სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, თუ აღნიშნული ფაქტების არსებობა კანონით დაშვებული და ალბათობის მაღალი ხარისხით სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაამტკიცეს. ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები კი, უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

27. განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი მასალები *(მათ შორის მომჩივნის მიერ წარმოდგენილი „სქრინები“, მხარეთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი და ზეპირი პოზიციები, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით განხორციელებული მიმოწერის შინაარსი, ადვოკატის მოწმის/კლიენტის - ლ-----ზ-------ს ჩვენება და თავად ადვოკატის დამოკიდებულება საკითხისადმი)* საფუძვლიანს ხდიდა მომჩივნის *(ფ-------- შ--------ის)* მტკიცების საგანში შემავალი გარემოების - ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მიერ სადავო პოსტების გამოქვეყნების ფაქტს, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთი შებრუნდა და საწინააღმდეგო მტკიცების საპროცესო საშუალების წარმოდგენის ვალდებულებამ საჩივრის ავტორის - ადვოკატ ლ--- ჯ----------ს მხარეს გადაინაცვლა. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში საქმის განხილვისას, საჩივრის ავტორს ფ-------- შ--------ის მიერ მითითებული გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გასაქარწყლებლად, თავად უნდა წარმოედგინა საპირისპირო გარემოების დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულება, თუმცა, კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება დამაჯერებელი და სარწმუნო არგუმენტებით, ადვოკატმა ვერ შეძლო. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ შემდავებელს განხილვის კოლეგიისათვის იმგვარი დასაშვები მტკიცებულება უნდა წარმოედგინა, რომელიც უცილობლად სარწმუნოს გახდიდა მისი პოზიციის სისწორეს. ასეთ მტკიცებულებად კი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა არ განიხილება, რამეთუ მისი შინაარსი *(გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ადვოკატ ლ--- ჯ----------ს განმარტება მასზედ, რომ „2022 წლის 16 აგვისტოს დაუდგენელმა პირმა უნებართვოდ შეაღწია ადვოკატის კუთვნილ სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ პროფილზე „ლ--- ჯ----------“)* არათუ გამორიცხავს სადავო „Facebook“ პოსტების ლ--- ჯ----------ს მიერ გამოქვეყნების ფაქტს, არამედ ადასტურებს, რომ სადავო „Facebook“ პოსტების გამოქვეყნების პერიოდში *(2022 წლის 05 ივნისი და ამავე წლის 11 ივლისი),* ადვოკატის

კუთვნილ „Facebook“ ანგარიშზე *(„ლ--- ჯ----------“)* ჰაკერულ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია და ამ პერიოდში, Facebook“ ანგარიშს *(„ლ--- ჯ----------“)* ადვოკატი თავად მართავდა. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც დასტურდება, რომ სადავო პოსტების საჯაროდ გამოქვეყნების ფაქტი წინ უსწრებს სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტს, აზრს მოკლებულია ადვოკატის მითითება იმ გარემოებაზეც, რომ სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენა სხვა უწყების კომპეტენციას განეკუთვნება.

28. აქვე, სადისციპლინო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზების მიზნით, ადვოკატის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათზე. კერძოდ, საპროცესო ეტაპზე ადვოკატმა განმარტა, რომ *იგი საერთოდ არ იცნობდა ფ-------- შ---------ს, საქმეზე დართული მიმოწერები კი, არაავთენტური და სადავო იყო;* განხილვის ეტაპზე კი, ადვოკატი მიუთითებდა, რომ *იგი ლ----- ზ-------ს ადვოკატს წარმოადგენდა და მის საქმესთან დაკავშირებით ჰქონდა კომუნიკაცია ფ-------- შ-------სთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.* გარდა ამ ამისა, ერთ შემთხვევაში, ადვოკატი მიუთითებდა, რომ *მას გაუტეხეს „Facebook“ ანგარიში და მიმდინარეობს გამოძიება,* რითაც სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, ადვოკატი ცდილობს დაადასტუროს, რომ სადავო პოსტები გამოქვეყნდა ადვოკატის კუთვნილი „Facebook“ ანგარიშიდან, თუმცა არა მის მიერ, არამედ ჰაკერული თავდასხმის შედეგად - სხვა პირის მიერ, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ადვოკატი საერთოდ გამორიცხავს მისი კუთვნილი „Facebook“ ანგარიშიდან სადავო პოსტების გამოქვეყნების ფაქტს და მიუთითებს, რომ *ფ-------- შ---------მ თავად შექმნა და გამოაქვეყნა პოსტები ყალბი „Facebook“-ის ანგარიშიდან, რისთვისაც გამოიყენა ის, რაც ადვოკატმა მას პირადში მისწერა.* ადვოკატის პოზიციების არათანმიმდევრულობიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ მართალია, ფაქტობრივი გარემოებების მითითება და ამ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურება, წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებას და შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, თითოეული მხარე თვითონ განსაზღვრავს, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მის პოზიციას და რომელი მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს იგი, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებათა არსებობის დამამტკიცებელი მტკიცებულებები, მხარემ უნდა დააფიქსიროს მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი გაუგებრობა და როგორც განხილვის კოლეგიას, ისე სადისციპლინო პალატას ჰქონდეს შესაძლებლობა გაერკვეს დავის საგანსა და მტკიცების ფარგლებში. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ პოზიციის ამდენჯერ ცვლილება, მისი ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები, იმთავითვე არადამაჯერებელს ხდის სადავო პოსტების სხვა პირის მიერ გამოქვეყნების ფაქტს და წარუმატებლად აქცევს სადავო პოსტებისა და

ელექტრონული მიმოწერის შინაარსის თანხვედრის განეიტრალების მცდელობასაც *(სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ადვოკატის მითითება, მასზედ, რომ ფ-------- შ---------მ გამოიყენა ის, რაც ადვოკატმა მას პირადში მისწერა).*

29. ამდენად, საჩივრის ავტორის მოსაზრების საპირისპიროდ, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილების საფუძველზე, სწორად დაადგინა, რომ 2022 წლის 05 ივნისსა და ამავე წლის 11 ივლისს, სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან *(„ლ--- ჯ--------")* საჯაროდ გამოქვეყნებული სადავო პოსტების ავტორს ადვოკატი ლ--- ჯ---------- წარმოადგენდა, ხოლო, საჩივრის ავტორმა არათუ ვერ მიუთითა ვერცერთ ისეთ გარემოებასა და ვერ წარმოადგინა რაიმე რელევანტურ მტკიცებულება, რაც სადისციპლინო პალატას განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოების სისწორეში/სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს გაუჩენდა, არამედ საჩივარში ერთნიშვნელოვნად დაადასტურა კიდეც, რომ სადავო „Facebook" პოსტების ავტორს თავად წარმოადგენდა.

30. სადისციპლინო პალატა ადვოკატ ლ--- ჯ----------ს ვერც იმ შედავებას გაიზიარებს, რომ მის მიერ, 2022 წლის 05 ივნისსა და ამავე წლის 11 ივლისს, სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან *(„ლ--- ჯ----------")* გამოქვეყნებული საჯარო პოსტები ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რაც მისი დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

31. ზემოაღნიშნულ სადავო საკითხთან მიმართებით, სადისციპლინო პალატა პირველ რიგში ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის *(შემდგომში - კონვენცია)* მე-10 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობაზე, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე - ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლი განსაზღვრავს სიტყვის თავისუფლების ხელყოფის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა, პალატა აქვე აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ

უფლებას და სწორედ საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ამ უფლების შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის პირობებში. კერძოდ:

31.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, *აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.* ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, *ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.*

31.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის *(შემდეგში - „კონვენციის“)* მე-10 მუხლით, *ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.*

31.3. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, *სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება.*

32. აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებელობის“ ძირითადი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც დაადგინა არაერთ საქმეში. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არაშეურაცხმყოფელად არის მიჩნეული ან

ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაშფოთებელია. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განსაზღვრული იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი" დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი" კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას" *(Handyside v. the United Kingdom (7 December 1976, Series A no. 24), Stoll v. Switzerland ([GC] no. 69698/01, § 101, ECHR 2007- V); Animal Defenders International v. the United Kingdom [GC], no. 48876/08, § 100, ECHR 2013; Morice v. France [GC], no. 29369/10, § 124, 23 April 2015).* როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. სტრასბურგის სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ორივე უფლება - გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც - თანაბარ დაცვას იმსახურებს. თუმცა, იმისათვის, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა დადგინდეს, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს *(Ärztekammer Fur Wien And Dorner v. Austria, no. 8895/10, § 62, 16 February 2016).*

33. ამდენად, გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარებისა და მთლიანად, საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-39),* თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის თვითრეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ლეგიტიმური მიზნით. კერძოდ, „არც ერთი ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვისი თავისუფლების ხელყოფას. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ზღვარიც სხვათა უფლებებია. ის არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობით რომელიმე სხვა კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით. მაშინ, როდესაც ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობამ რეალური დარღვევის საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამა თუ იმ უფლებას, გამოხატვის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს და ესეც დემოკრატიის ერთი-ერთი მთავარი წესია" *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-44).*

34. განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც დადგენილია, რომ ადვოკატი ლ--- χ---------- წარმოადგენს ლ----- ზ-------ს ინტერესებს ფ-------- შ--------ისა და ი---- შ--------ს მიმართ დავაში და მის მიერ გამოქვეყნებული საჯარო პოსტები მიემართება მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ--- χ----------ს მიერ გაკეთებული განცხადებები პროფესიული კრიტიკის უფლების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც სამოქალაქო, ისე პროფესიული უფლებები და თავისუფლებები. სწორედ ამ მიზნით, სადისციპლინო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მოიხმოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უშუალოდ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით.

34.1.ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ადვოკატებს, მათი სპეციფიკური სტატუსის გამო, ცენტრალური ადგილი უჭირავთ მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამიტომ ისინი თამაშობენ უმთავრეს როლს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფაში *(Schöpfer v. Switzerland, 20 May 1998, §§ 29-30, Reports 1998-III; Nikula v. Finland, no. 31611/96, § 45, ECHR 2002-II; Amihalachioaie v. Moldova, no. 60115/00, § 27, ECHR 2004-III; Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII; André and Another v. France, no. 18603/03, § 42, 24 July 2008; and Mor v. France, no. 28198/09, § 42, 15 December 2011),* თუმცა იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ ნდობა გაუჩნდეთ, ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ იურიდიული პროფესიის შესაძლებლობაში გასწიოს ეფექტიანი წარმომადგენლობა *(Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, § 175, ECHR 2005-XIII).*

34.2.დამოუკიდებელი პროფესიონალის ეს სპეციალური როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ადვოკატებს მთელ რიგ მოვალეობებს აკისრებს, კონკრეტულად, მათ ქცევასთან მიმართებაში *(Van der Mussele v. Belgium, 23 November 1983, Series A no. 70; Casado Coca v. Spain, 24 February 1994, § 46, Series A no. 285-A; Steur v. the Netherlands, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI; Veraart v. the Netherlands, no. 10807/04, § 51, 30 November 2006; and Coutant v. France (dec.), no. 17155/03, 24 January 2008).* ამ მოვალეობების თანახმად, ადვოკატებს მოეთხოვებთ კორექტული, კეთილსინდისიერი და ღირსეული ქცევა. სანაცვლოდ, ისინი აღჭურვილნი არიან ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, მათ შორის, თავისუფლებით არგუმენტების წარდგენისას სასამართლო დარბაზში *(Steur v. the Netherlands, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI).* თუმცა ის, რაც დასაშვებია ადვოკატისათვის სასამართლო დარბაზში, შესაძლებელია, დაუშვებელი იყოს სასამართლო დარბაზის გარეთ.

34.3.შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ ადვოკატებიც, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული შეხედულებებისა და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსს, არამედ ფორმასაც, რომლითაც ეს ინფორმაცია და შეხედულებები ვრცელდება *(Foglia v Switzerland, no. 35865/04, § 85, 13 December 2007).* კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატებს უფლება აქვთ საჯარო კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე, **თუმცა მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს** *(Amihalachioaie v. Moldova, no. 60115/00, §§ 27-28, ECHR 2004-III; Foglia, v Switzerland, no. 35865/04, § 86, 13 December 2007; Mor v. France, no. 28198/09, § 43, 15 December 2011).* **ასეთი საზღვრები დაწესებულია ჩვეულებრივი აკრძალვებით, რომლებსაც ითვალისწინებს ადვოკატთა ქცევის კოდექსი სხვადასხვა ქვეყანაში** *(Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII),* **სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადვოკატის „ღირსებას", „პატივს", „კეთილსინდისიერებას" და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ პატივისცემას** *(იხ. სუსგ საქმეზე №ას-622-2022, 05/07/2023 წ.).*

35. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, *ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.* ამავე კანონის მე-3 მუხლის „ლ" პუნქტის თანახმად, *ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა,* ხოლო მე-5 მუხლის „ბ" და „გ" პუნქტები ადვოკატს ავალდებულებს *ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.* ამავე კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, *ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.* ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, *ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა, თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს;* ხოლო, ამავე კოდექსის 9.1. და 9.4 მუხლების თანახმად, *ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს; ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას.*

36. გარდა ამისა, სადისციპლინო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში

მიუთითა, რომ კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, ადვოკატი ვალდებულია ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისთვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების ხელყოფა *(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/7-16).*

37. რაც შეეხება კონკრეტულ სადავო საკითხს, სადისციპლინო პალატამ წინამდებარე გადაწყვეტილებაში უკვე გაიზიარა ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის გვერდიდან *(„ლ--- ჯ----------“)* უშუალოდ ადვოკატ ლ--- ჯ--- ----------ს მიერ, მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მიმართ საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის „პოსტები“:

- *„ცნობილი დოქტორი ამერიკაში მცხოვრები მილიონერმა საკუთარ ნათესავის ბინა ჯერ გადაიფორმა ხელშეკრულების გარეშე შემდეგ კი ფულს სძალავდა ატყუებდა საკუთარ ნათესავებს, შემდეგ მე ადვოკატს ანუ მე მოლაპარაკება რომ ვცადე შანტაჟი გამიკეთა და დამემუქრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს რომლებიც მისი დეიდაშვილები არიან ქუჩაში ყრის. მითხარით რა არის ეს?“ (05 ივნისის პოსტის ციტირება);*
- *„ფ-------- შ---------ვ არაერთხელ მოგწერეთ თქვენი და თქვენი მეუღლის ი---- შ--------ს მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი თქვენი მეუღლის ნათესავია რომლის ქონებაც გადაიფორმეთ და თანხას სძალავდით წლობით. ან კავშირზე გამოდით დროულად ან იძულებული ვიქნები შესაბამის სამართლებრივ ზომებს მივმართო. მე არ მესმის მილიონერი როცა ხარ, საკუთარ ნათესავს ბინას რატომ უნდა ართმევდე და ფულს რატომ უნდა სძალავდე?!!“ (11 ივლისის პოსტის ციტირება).*

38. საჩივრის ავტორის მითითებით, ზემოაღნიშნული პოსტების შინაარსი მიჩნეულ უნდა იქნეს შეფასებით მსჯელობად და შესაბამისად, ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში უნდა იქნეს შეყვანილი, რაც მისი დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია.

39. საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნული შედავების გათვალისწინებით, ასევე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, პირველ რიგში აუცილებელია შეფასდეს სადავო განცხადებებში

დაცული გამონათქვამები ადვოკატის აზრის/შეხედულების გამოხატვაა თუ დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტების შემცველი განცხადება.

40. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა, როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზით, მათი განსხვავება შესაძლებელია.

40.1. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ამ ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: *„აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).* ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, *აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.*

40.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, როგორც წესი, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ფაქტის გადამოწმება და დადგენა, რეალურად არსებობდა თუ არა ის, შესაძლებელია *(სუსგ-ები: №ას-1278-1298-2011, 20.02.2012წ; №ას-790-739-2017, 17.01.2018წ; №ას-928-868-2017, 17.01.2018წ; №ას-989-2019, 28.06.2022წ.).* სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი *(იხ. სუსგ-ები №ას-1477-1489-2011, 3.04.2012წ.; №ას-569-540-2014, 11.03.2016წ.; №ას-1366-2019, 06.04.2020წ.).* ფაქტის მტკიცებას ახასიათებს - მტკიცებულებით დადასტურებადი - ობიექტური კავშირი გამოთქმულსა და სინამდვილეს შორის, მაშინ, როდესაც, აზრის/მოსაზრების მაკვალიფიცირებელია პოზიციის ან რწმენის ელემენტი *(იხ. სუსგ საქმეზე №ას-547-2020, 14.12.2021 წ.).*

40.3. ევროსასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე: *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Obershlik v. Austria (Application no. 11662/85 (N1), 1991 23.05.1991)*

გამიჯნა განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა. ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს *(იხ. დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ, 1997 წლის 24 თებერვალი, §42, ანგარიშები 1997-I- De Haes and Gijsels, §42.),* ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად აუცილებელია საქმის გარემოებებისა და გამონათქვამების ზოგადი ტონის გათვალისწინება *(იხ. Morice v. France [GC], no. 29369/10, §126, ECHR 2015).*

41. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მოსაზრების საპირისპიროდ, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ საჯაროდ გავრცელებული გამონათქვამები არც მთლიანი კონტექსტის და არც იზოლირებულად განხილვის შემთხვევაში, არ იძლევა მათი „აზრის“ კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, რამეთუ მათი მეშვეობით, ადვოკატი მოსაზრებაზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე, ე.წ. სუფთა სახით, დადასტურებულად მიუთითებს ფ-------- შ--------ის მხრიდან ნათესავის მიმართ „ფულის გამოძალვისა“ და „ბინის გამოძალვის“ ფაქტების განხორციელებაზე. მაშასადამე, ადვოკატის მხრიდან გამოხატვა განხორციელდა იმგვარი ფორმით, რომ მომჩივანი ფ-------- შ--------- წარმოჩინდა „თაღლითად“, ე.ი. სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩამდენ პირად, რაც თავის მხრივ, ისეთ „ინფორმაციას“ წარმოადგენს, რომელიც მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, გამომდინარეობს ობიექტური გარემოებებიდან და იძლევა მისი გადამოწმებისა და სიმართლის დადგენის შესაძლებლობას.

42. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ თაღლითობა არის საკუთრების უფლების წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური დანაშაული, რომელიც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით. პირისთვის თაღლითური ქმედების ფაქტობრივი ბრალდება შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს შეფასებით მსჯელობად. აქვე, სადისციპლინო პალატა მოიშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას მასზედ, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მოსარჩელის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს შეაფასებდა, როგორც შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტს, სასამართლო მხედველობაში მიიღებდა ევროსასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ პრაქტიკას, რომლის მიხედვით, თუნდაც განცხადება წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას, უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი მის გასამყარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩაითვლება არასათანადოდ“ *(იხ. ეგილ ეინარსონი ისლანდიის წანააღმდეგ (Egill Einarsson v. Iceland), N 24703/15, §52, 7 ნოემბერი 2017) პფაიფერი ავსტრიის*

წინააღმდეგ (Pfeifer v. Austria), N 12556/03, §46, 15 ნოემბერი 2007). ევროსასამართლოს დასახელებული განმარტებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შეფასებითი მსჯელობაც კი, გარკვეულ ფაქტობრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რათა ეს შეფასებითი მსჯელობა სათანადოდ ჩაითვალოს.

43. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ გავრცელებული საკმაოდ სერიოზული ბრალდება, მოკლებული იყო სათანადო ფაქტობრივ საფუძვლებს, რამეთუ ადვოკატმა ლ-–– ჯ----------–---მა საჯაროდ გაავრცელა ინფორმაცია იმ პირობებში, როდესაც საქმის ფაქტებს თავად სრულყოფილად არ იცნობდა - განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატი მოწმესთან, თავის კლიენტთან აზუსტებდა საქმის ფაქტებს. იმავდროულად, მომჩივნის მხრიდან „ფულის გამოძალვისა“ და „ბინის გამოძალვის“ ფაქტები არ არის დადგენილი სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით და საჩივრის ავტორის იმ მითითების საპირისპიროდ, რომ *იგი ავრცელდებდა იმ ინფორმაციას, რაც მისთვის მხარისგან იყო ცნობილი (იხ. საჩივარი - ს.ფ. 454)*, ადვოკატის მოწმის/კლიენტის - ლ-----– ზ-------ს ჩვენებით დადასტურდა, რომ ადვოკატისთვის არც კლიენტს უთქვამს, რომ ფ-------- შ--------- მას თანხას სძალავდა.

44. განსახილველ შემთხვევაში, მართალია სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადვოკატი ლ-–– ჯ----------–---- ზემოხსენებული გამონათქვამების გამოქვეყნებისას, მოქმედებდა საჯარო სივრცეში, თუმცა, სადისციპლინო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მაინც გაამახვილოს ყურადღება სოციალური ქსელის არსსა და დანიშნულებაზე. ამ მიმართებით, სადისციპლინო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 იანვრის Nას-1559-1462-2012 გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით, სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი *(ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ).* თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან *(ე.წ პროფაილი),* მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ

მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა თუ ინტერნეტ გამოცემებში. **სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს.**

45. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში ადვოკატმა ლ--- ჯ----------მა კლიენტის საქმეზე გაასაჯაროვა არასწორი, გამოუკვლეველი ინფორმაცია, ფაქტის და არა აზრის სახით, მხარისათვის შეურაცხმყოფელი ფორმით, რამეთუ პირისთვის თაღლითური ქმედებების უსაფუძვლო ბრალდება და ირიბად მისი „თაღლითად“ შერაცხვა, მიემართება სუბიექტის არამართლზომიერი და არაკეთილსინდისიერი მახასიათებლების ხაზგასმისკენ, რაც პირის სანდოობას ჩრდილქვეშ აყენებს და საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება. აღნიშნული ნათლად დადასტურდა იმ გარემოებითაც, რომ ადვოკატის მხრიდან საჯარო პოსტების გამოქვეყნებით (*11 ივლისის პოსტს მომჩივნის ფოტოც ერთვოდა)*, მომჩივანი დაექვემდებარა საზოგადოების მხრიდან დაკვირვებასა და შეურაცხყოფას. კერძოდ, ადვოკატის მიერ გამოქვეყნებულ „Facebook“ პოსტზე აკომენტარებდა არაერთი ადამიანი, რომლებიც მომჩინავს მოიხსენიებდნენ შემდეგი სიტყვებით: *„ღორობა“; „თავგასულობა“; „უნამუსობა„; „ნაგავი“; „უღმერთო გაუმაძღარი ღორის საქციელი“* და ა.შ.

46. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, უდანაშაულობის პრეზუმციის მოქმედების ფარგლებში, სათანადო მტკიცებულებების გარეშე პირისათვის „თაღლითური“ ქმედების ჩადენის ბრალდება, მიემართება სუბიექტის დისკრედიტაციას, შეურაცხყოფასა და მისთვის იმგვარი პიროვნული მახასიათებლების მიმაგრებას, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას, შესაბამისად, ადვოკატ ლ--- ჯ----------ს გამონათქვამები ვერ ისარგებლებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით.

47. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეზე ევროსასამართლომ არასწორ ფაქტად მიიჩნია პოლიტიკური თანამდებობის პირის - მინისტრის საჯარო განცხადება, რომლითაც მან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრი ფულის მიღების სანაცვლოდ, პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი სამედიცინო დასკვნის

გაცემაში დაადანაშაულა. მოცემულ საქმეზე ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადება შეიცავდა დადასტურებად ფაქტებს *(თანხის მიღება არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემის მიზნით)* და აღნიშნა, რომ კონვენცია არ მოითხოვდა პირებისაგან მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის მოთმენას და საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე სისხლისსამართლებრივ ქმედებებში საჯაროდ დადანაშაულებას ... როდესაც საზოგადოება მოელის გადამოწმებულ ინფორმაციას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არა ფაქტებით გაუმყარებელ განცხადებებს *(იხ. „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ", საჩივარი #18925/09, 20 სექტემბერი, 2018 წელი)*.

48. სადისციპლინო პალატას მხედველობის მიღმა არ რჩება ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორი მომჩივან ფ-------- შ---------სა და მის მეუღლეს, ი---- შ--------ს „საჯარო პირებად" მიიჩნევს იმ მოტივით, რომ მათი ფოტოები გამოსახულია პარლამენტის ვებ გვერდზე და ამასთან, ი---- შ--------ს პოლიტიკური პარტია აქვს შექმნილი *(იხ. საჩივარი - ს.ფ. 459).* სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, მომჩივნისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭებით, საჩივრის ავტორი ცდილობს მას კერძო პირთან შედარებით კრიტიკის მიმართ თმენის მაღალი ვალდებულება დააკისროს. აღნიშნულთან დაკავშირებით სადისციპლინო პალატა პირველ რიგში ყურადღებას იმ გარემოებაზე გაამახვილებს, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი იმგვარი მტკიცებულებები, რაც მომჩივნის „საჯარო პირად" მიჩნევას განაპირობებდა, ამასთან, მისი „საჯარო პირად" მიჩნევის შემთხვევაშიც, სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებს გარეთაა ისეთი განცხადებები, რომელიც შეეხება საჯარო პირს მიმართ გაჟღერებულ უსაფუძვლო და სერიოზულ ბრალდებებს. ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადების სათანადო მტკიცებულებებით დაუდასტურებლობის პირობებში, ასეთი ფაქტის გავრცელება საჯარო პირის მიმართ, ვერ მიიჩნევა გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის რეალიზებად და ვერც ისეთ ღირებულ მოსაზრებად, რომელსაც უპირატესი დაცვის ღირსი ინტერესი ექნებოდა, კონკრეტული საჯარო პირის თმენის ვალდებულებასა და რეპუტაციასთან მიმართებით. შესაბამისად, იმ ვითარებაშიც კი, თუ სადისციპლინო პალატის მხრიდან ფ-------- შ--------- მიიჩნეოდა „საჯარო პირად", მის წინააღმდეგ გავრცელებული ბრალდებები, თავისი სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, ობიექტური წინაპირობების არ არსებობისას, ვერ გამართლდებოდა გამოხატვის თავისუფლებაზე აპელირებით.

49. სადისციპლინო პალატა ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად, ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის ვერც იმ შედავებას, რომ *კლიენტის ინტერესის დასაცავად*

ინფორმაციის გასაჯაროვება არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სადისციპლინო პალატა პირველ რიგში მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რომლებშიც განიმარტა, რომ „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა *(R.S and Z.V Switzerland, no.10414/83, 01 October 1984).* „ადვოკატებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან, თუმცა, ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად“ *(Basic Principles on the Role of Lawyers, adopted by the 8th UN Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba,1990, 23.).* ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის დაცვა განახორციელოს მედიის საშუალებით, მაგრამ დაუშვებელია ადვოკატმა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე გააკეთოს განცხადებები, რომლებიც იმდენად სერიოზულია, რომ სცდება კომენტარისათვის დასაშვებ ფარგლებს, ან მიმართოს შეურაცხყოფას *(Karpetas v. Greece, no.6086/10, § 78, 30 October 2012; A v. Finland (dec.), no. 44998/98, 8 January 2004; Coutant v. France (dec.), no. 17155/03, 24 January 2008) საქმეში Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa პორტუგალიის წინააღმდეგ (Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa v. Portugal, no. 1529/08, § 48, 29 March 2011).* სასამართლო ამოწმებს განცხადებებს მათ ზოგად კონტექსტში, იმისათვის რომ დაადგინოს შეიძლება თუ არა ისინი შეფასდეს, როგორც შეცდომაში შემყვანი ან გაუმართლებელი პიროვნული თავდასხმის გამომხატველი *(Ormanni v. Italy, no. 30278/04, § 73, 17 July 2007; Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa v. Portugal, no. 1529/08, 29 March 2011, § 51)* და დარწმუნდეს, ჰქონდა თუ არა განცხადებას საკმარისად ახლო კავშირი საქმის ფაქტებთან *(Feldek v. Slovakia, no. 29032/95, § 86, ECHR 2001-VIII, Gouveia Gomes Fernandes and Freitas e Costa v. Portugal, no. 1529/08, 29 March 2011).*

50. ზემოაღნიშნულ აბზაცში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა; ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების კანონიერი საშუალებებით დაცვა და მიუხედავად ადვოკატის პროფესიის მთავარი მიზნისა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას გულისხმობს, კლიენტის ინტერესები არ დააყენოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმებზე მაღლა. აღნიშნული პრინციპები, სადისციპლინო პალატის მოსაზრებით გამორიცხავს

პროცესის მონაწილის *(რომელიც მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღდეგე მხარეა)* „თაღლითად“, „ფულის გამომძალველად“ და „ბინის მიმთვისებლად“ მოხსენიებას, მით უფრო მაშინ, რომ ასეთი სახით ინფორმაცია ადვოკატისთვის კლიენტს არ გაუზიარებია. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ადვოკატს, რომელიც სპეციალური ცოდნის მქონე პირია და რომლისთვისაც ცნობილია ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური გარანტიის, უდანაშაულობის პრეზუმციის შესახებ, საერთო კორპორაციული ინტერესი არათუ არ აძლევს შესაძლებლობას გაავრცელოს გადაუმოწმებელი/არასწორი ფაქტები, არამედ აკისრებს ვალდებულებას, გონივრულობის ფარგლებში გადაამოწმოს ინფორმაცია *(თუნდაც კლიენტის მიერ გაზიარებული)* და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს მსგავსი ფორმის განცხადება. ამდენად, ადვოკატს თავისი პოზიციის ფაქტის სახით ფორმულირებისას, ევალება მისი გადამოწმება და სწორი ინფორმაციის გაჟღერება.

51. მოცემულ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატამ უკვე იმსჯელა და მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გავრცელებული საკმაოდ სერიოზული ბრალდება, მოკლებული იყო სათანადო ფაქტობრივ საფუძვლებს; იმავდროულად, სადისციპლინო პალატა ვერ ხედავს, თუ როგორ შეიძლება „თაღლითისთვის“ დამახასიათებელი უნარ-ჩვევების პიროვნებისთვის მიმაგრებას პირდაპირი წვლილი შეჰქონდეს კლიენტის ინტერესების დაცვაში და ამ მიმართებით, არც საჩივრის ავტორს წარმოუდგენია დასაბუთებული განმარტება. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატი, მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის „თაღლითად“ შერაცხვის გზით, თუნდაც მისი კორექტული ფორმით ფორმულირებისას, მიზნად ისახავდა მომჩივანის პიროვნების დისკრედიტაციას და მხარის იძულებას - მის კლიენტთან წასულიყო შეთანხმებაზე *(ციტირება საჩივრიდან: „...კლიენტის დასაცავად ვახორციელებდი, იმისთვის, რომ მოლაპარაკებაზე წამოსულიყო მხარე“ - ს.ფ. 454),* რითაც ადვოკატი გასცდა საქმის წარმოების კანონიერი და ეთიკური სტრატეგიის ფარგლებს. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორის შედავების საპირისპიროდ მიიჩნევს, რომ ადვოკატის განცხადებები არ გამომდინარეობდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან და სცდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

52. ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად, სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მომდევნო შედავებას მასზედ, რომ *იგი ამ საქმეში მოქმედებდა როგორც ჟურნალისტი და მასზე არ უნდა გავრცელებულიყო ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა.* ამ მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საქმეში მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ,

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ არ გაიზიარა ევროპის ადვოკატთა ასოციაციების საბჭოს (CCBE) მოსაზრება, რომ მათი გამოხატვის თავისუფლების ფარგლების შეფასებისას ადვოკატები უნდა გაუთანაბრდნენ ჟურნალისტებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ შეიძლება ადვოკატების ჟურნალისტებთან გათანაბრება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ამ ორი პროფესიის წარმომადგენელთა სრულიად განსხვავებული როლის გამო. ჟურნალისტებს, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისად, ევალებათ ინფორმაციისა და შეხედულებების გავრცელება საზოგადოების ინტერესის სფეროში არსებულ ყველა საკითხზე, მათ შორის მართლმსაჯულების განხორციელებაზე. მაგრამ ადვოკატები წარმოადგენენ სასამართლო სისტემის პროტაგონისტებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი სასამართლოს ფუნქციონირებასა და მხარის დაცვაში. ამიტომ ისინი არ შეიძლება უბრალოდ გავათანაბროთ გარე დამკვირვებელთან, რომლის მოვალეობაც არის მხოლოდ საზოგადოების ინფორმირება *(Morice v. France [GC], no. 29369/10, § 148, 23 April 2015).*

53. იმ შემთხვევაშიც, თუ სადისციპლინო პალატა გაიზიარებდა საჩივრის ავტორის შედავებას მასზედ, რომ მისი მოქმედება უნდა გაუთანაბრდეს ჟურნალისტურ საქმიანობას, სადისციპლინო პალატა მხედველობაში მიიღებდა იმ გარემოებას, რომ ჟურნალისტების უფლება - გაავრცელონ ინფორმაცია, შეზღუდულია ვალდებულებით - მოამარაგონ საზოგადოება სწორი და გადამოწმებული ინფორმაციით, შესაბამისად, ჟურნალისტები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებენ, რომ ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან მიიღეს; ჟურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში; ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ინფორმაციის გადამოწმება გარკვეულ დაუძლეველ სირთულეებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტმა ზუსტად ამგვარი სირთულის არსებობა უნდა დაადასტუროს. აქვე, ნიშანდობლივია აღინიშნოს ინფორმაციის სწრაფად გავრცელების აუცილებლობაც, ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტის მტკიცების საგანში შედის გარემოება, რომ მიღებული ინფორმაცია სანდო წყაროს ეყრდნობოდა. შესაბამისად, ინფორმაციის სისწორის პრეზუმფცია არსებობდა და ინფორმაციის სწრაფად გავრცელების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე მისი გადამოწმების შესაძლებლობა შეზღუდული იყო *(Bladet Tromso and Stensaas v Norway; Colobani and others v France).* მოცემულ შემთხვევაში ამგვარი მტკიცება, საჩივრის ავტორს არ განუხორციელებია.

54. რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ დამატებით არგუმენტებს მასზედ, რომ

დისციპლინური საქმე №057/22 კანონდარღვევით გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას და *ადვოკატთა ასოციაცია მას ექცევა დისკრიმინაციულად,* სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 13 დეკემბრის მიწერილობით, მოცემული საქმე „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განსახილველად გადაეცა მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას და არა სრულ შემადგენლობას, აქედან გამომდინარე, მხარის მითითება ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან №057/22 საქმეზე მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ, ასევე, ეთიკის კომისიის ერთ-ერთი წევრის მიერ ადვოკატის პირადი მონაცემების გავრცელება, სცდება განსახილველი დავის საგანს.

55. სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად, *ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის,* ამავე მუხლის „ბ“ ქ/პუნქტის თანახმად, *ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.* ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

56. განსახილველ შემთხვევაში, წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა იზიარებს განხილვის კოლეგიის სამართლებრივ შეფასებას მასზედ, რომ ლ–––ჯ----------ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა *(მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი)* და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის *(მე-5 მუხლი, მე-9 მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილები)* მოთხოვნები, რის გამოც ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულადვე დაეკისრა სახდელის სახით - გაფრთხილება; შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ ლ––– ჯ---------- საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ლ--- ჯ----------ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 08 თებერვლის №056/22 გადაწყვეტილება;

3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **გოჩა აბუსერიძე**

მოსამართლეები: **რევაზ ნადარაია**

თეა ძიმისტარაშვილი